

შპს ახალი ქსელები და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	13

შპს ახალი ქსელები

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს ახალი ქსელები-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი
ნანა შარაშენიძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
მარინე კილაძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შპს ახალი ქსელები

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს ახალი ქსელები-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
მარინე კილაძე

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ახალი ქსელები-ს დამფუძნებლებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ახალი ქსელები-ს (“კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიის შპს ახტელი-ს („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “*პირობითი მოსაზრების საფუძველი*” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 2,020 ათასი ლარი და 2,033 ათასი ლარის ღირებულებებით, შესაბამისად.

კომპანიას არ გააჩნია მარაგების ჩამოწერის ფორმალიზირებული პოლიტიკა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მარაგების თვითღირებულებაში ასახვის სიზუსტის დადასტურება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული თვითღირებულების იმ ხარჯების სისწორეში რომელიც დაკავშირებულია მარაგების ჩამოწერასთან, რაც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული იყო 1,846 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველს შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა (22,594) ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და როგორც 24-ე შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენა და პირობა, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ჰბადებს შპს ახალი ქსელები-ს უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

სხვა გარემოებები

ჩვენ ჩავატარეთ შპს ახალი ქსელები-ს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. წინა პერიოდების აუდიტი განხორციელებული იყო „ქართული აუდიტორული კომპანიის“ მიერ.

ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშგების იმ მუხლების საწყისი ნაშთები რომლებიც გავლენას ახდენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაბამისად ჩვენ ვერ გამოვთქვავთ მოსაზრებას, რომ შპს ახალი ქსელები-ს 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები იყო წარმოდგენილი „ფასს“-ის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას

მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის დ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითინ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

აუდიტორის ხელმოწერა და სახელი
გ. მიქაბაძე



ა. ლავაშვილი

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
EuraAudit International-ის წევრი
2019 წლის 30 სექტემბერი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ძირითადი საშუალებები	5	29,091	45,039	64,123
არამატერიალური აქტივები	6	112	148	267
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,203	45,187	64,390
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		-	-	135
წმინდა წინასწარ გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		103	-	-
მარაგები		2,033	2,020	4,427
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	735	934	2,339
გაცემული ავანსები		211	197	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	76	61	65
სულ მიმდინარე აქტივები		3,158	3,212	6,966
სულ აქტივები		32,361	48,399	71,356

დირექტორი
ნანა შარაშენიძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
მარინე კილაძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ძირითადი საშუალებები	5	29,091	45,039	64,123
არამატერიალური აქტივები	6	112	148	267
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,203	45,187	64,390
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		-	-	135
წმინდა წინასწარ გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		103	-	-
მარაგები		2,033	2,020	4,427
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	735	934	2,339
გაცემული ავანსები		211	197	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	76	61	65
სულ მიმდინარე აქტივები		3,158	3,212	6,966
სულ აქტივები		32,361	48,399	71,356

დირექტორი
ნანა შარაშენიძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
მარინე კილაძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ვალდებულებები და კაპიტალი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	2,387	3,051	3,355
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,387	3,051	3,355
გადასახდელი დივიდენდები	10	911	953	1,012
წმინდა გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	11	132	247	569
გადასახდელი მოგების გადასახადი		12	-	-
მოკლევადიანი სესხები	12	9,162	11,196	10,055
მიღებული ავანსი		467	373	3,218
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	15,158	11,587	7,811
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,842	24,356	22,665
სულ ვალდებულებები		28,229	27,407	26,020
საწესდებო კაპიტალი		56	56	56
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		(1,658)	20,936	45,280
სარეზერვო კაპიტალი		5,734	-	-
სულ კაპიტალი		4,132	20,992	45,336
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,361	48,399	71,356

დირექტორი
 ნანა შარაშენიძე

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
 მარინე კილაძე

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ვალდებულებები და კაპიტალი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	2,387	3,051	3,355
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,387	3,051	3,355
გადასახდელი დივიდენდები	10	911	953	1,012
წმინდა გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	11	132	247	569
გადასახდელი მოგების გადასახადი		12	-	-
მოკლევადიანი სესხები	12	9,162	11,196	10,055
მიღებული ავანსი		467	373	3,218
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	15,158	11,587	7,811
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,842	24,356	22,665
სულ ვალდებულებები		28,229	27,407	26,020
საწესდებო კაპიტალი		56	56	56
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		(1,658)	20,936	45,280
სარეზერვო კაპიტალი		5,734	-	-
სულ კაპიტალი		4,132	20,992	45,336
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,361	48,399	71,356



დირექტორი
ნანა შარაშენიძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
მარინე კილაძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნები	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	20,538	27,597
თვითღირებულების ხარჯები	13	(15,771)	(24,314)
საერთო მოგება		4,767	3,283
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(9,681)	(12,376)
საოპერაციო მოგება		(4,914)	(9,093)
საფინანსო ხარჯები	15	(983)	(1,527)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	16	1,037	1,461
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17	(17,680)	(15,118)
მოგება დაბეგვრამდე		(22,540)	(24,277)
მოგების გადასახადის ხარჯი		(54)	(67)
წმინდა მოგება		(22,594)	(24,344)
ძირითადი საშუალებების გადაფასება		5,734	-
წლის სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		5,734	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(16,860)	(24,344)

დირექტორი
ნანა შარაშენიძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
მარინე კილაძე

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნები	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	20,538	27,597
თვითღირებულების ხარჯები	13	(15,771)	(24,314)
საერთო მოგება		4,767	3,283
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(9,681)	(12,376)
საოპერაციო მოგება		(4,914)	(9,093)
საფინანსო ხარჯები	15	(983)	(1,527)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	16	1,037	1,461
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17	(17,680)	(15,118)
მოგება დაბეგვრამდე		(22,540)	(24,277)
მოგების გადასახადის ხარჯი		(54)	(67)
წმინდა მოგება		(22,594)	(24,344)
ძირითადი საშუალებების გადაფასება		5,734	-
წლის სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		5,734	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(16,860)	(24,344)

დირექტორი
ნანა შარაშენიძე
30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
მარინე კილაძე
30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56	-	45,280	45,336
პერიოდის წმინდა ზარალი	-	-	(24,344)	(24,344)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	(24,344)	(24,344)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56	-	20,936	20,992
პერიოდის წმინდა ზარალი	-	-	(22,594)	(22,594)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	5,734	-	5,734.00
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,734	(22,594)	(16,860)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56	5,734	(1,658)	4,132

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბერი 2018 31 დეკემბერი 2017

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

წლის მოგება	(22,594)	(24,344)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა	5,532	9,003
ამორტიზაცია	23	55
მოგების გადასახადი	54	67
საპროცენტო შემოსავალი	(2)	-
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-	500
ძირითადი საშუალების ჩამოფასებიდან მიღებული ხარალი	17,044	5,349
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა	-	64
მოგება/ხარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	157	67
საპროცენტო ხარჯი	983	1,527
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	1,197	(7,712)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	181	1,306
ცვლილება მიღებულ ავანსებში	94	142
ცვლილებები მარაგებში	(14)	2,407
წმინდა გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(218)	(322)
ცვლილება გაცემულ ავანსებში	(14)	(197)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	3,571	5,310
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,797	934
გადახდილი მოგების გადასახადი	(43)	68
გადახდილი პროცენტი	(806)	(1,080)
მიღებული პროცენტი	2	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,950	(78)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,740)	(2,811)
არამატერიალური აქტივების შეძენა	13	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	2,847	4,058
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(880)	1,247
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოძინება მიღებული სესხებიდან	1,487	-
მიღებული სესხების დაფარვა	(4,451)	(1,069)
დივიდენდების გადახდა	(41)	(59)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(3,005)	(1,128)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	65	41
უცხოური ვალუტის ეფექტიფულზე	(50)	(45)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	61	65
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	76	61

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ახალი ქსელები-ს (ს/კ 211326732) ფინანსურ ინფორმაციას.

შპს ახალი ქსელები დაფუძნდა 1996 წლის 02 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი: 211326732, რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42. კომპანიის დამფუძნებელი.

შპს ახალი ქსელები-ის დამფუძნებლები არიან: ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 33.177%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 1.6%, ვახტანგი (პ/ნ 01012008906) - წილი 0.64%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 4.16%, თეიმურაზ ლოღობერიძე (პ/ნ 01017003643) - წილი 0.25%, მარინა იაშვილი (პ/ნ 01002002469) - წილი 0.25%, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 46.238%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეკავშირე-97 (ს/ნ 202910378) - წილი 3.685% და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ (ს/ნ 205267423) წილი - 10%

ხოლო თავის მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეკავშირე-97 (ს/ნ 202910378) დამფუძნებლები არიან: ნოდარ დევიძე (პ/ნ 01024010645) - წილი 11.34%, ვახტანგი ამაშუკელი (პ/ნ 01012008906) წილი - 8.06%, თეიმურაზი ქუტაშვილი (პ/ნ 01014005909) - წილი 8.06% და ირინე იაშვილი (პ/ნ 01002004790) წილი - 72.54%, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ (ს/ნ 205267423) დამფუძნებლები არიან: ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738) - წილი 5.714%, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 15.318%, ილია ინჯია (პ/ნ 01007000232) - წილი 21.565%, ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598) - წილი 4.149%, ნოდარ გაბედავა (პ/ნ 62001023917) - წილი 1.038%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 7.781%, თამარი ჩხაიძე (პ/ნ 01017035001) - წილი 0.016%, ოლეგი გვენცაძე (პ/ნ 01018005053) - წილი 0.016%, ქეთევან ასიტაშვილი (პ/ნ 01035000176) - წილი 0.064%, დავითი დურგლიშვილი (პ/ნ 01001046602) წილი - 0.648%, თეიმურაზ ბერიშვილი (პ/ნ 01026001596) - წილი 4.183%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 2.091%, სერგო ჩიკვილაძე (პ/ნ 01017008377) - წილი 0.042%, ჯამბული გეგეჭკორი (პ/ნ 01017000485) - წილი 1.171%, ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 29.349%, კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792) - 1.699%, თეიმურაზ ცხვარიაშვილი (პ/ნ 01026003544) - წილი 2.028% და კონსტანტინე ხაჯალია (პ/ნ 01009002835) - წილი 3.128%.

შპს ახალი ქსელების შვილობილი კომპანია, რომელშიც ფლობს 100%-იან წილს არის შპს ახტელი, რომელიც თავის მხრივ დაფუძნდა 1997 წლის 27 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 202913106, მარეგისტრირებელი ორგანო არის ჩუღურეთის რ-ნის სასამართლო კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ., №42.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჭვლელების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე წილების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შემენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა, %	ქვეყანა	სფერო	შექმნის/დაფუძვნების თარიღი
შპს „ახტელი“	100.0	საქართველო	ტელეკომუნიკაციები	27 ივნისი 1997 წელი

ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში არსებულ შვილობილ კომპანიებში

ის ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში, რომლებსაც არ მოჰყვება შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვა აღირიცხება როგორც კაპიტალის ტრანზაქციები. ჯგუფის ინტერესებისა და არამაკონტროლებელი ინტერესების საბალანსო ღირებულებები იცვლება შვილობილი კომპანიების მიერ მათი ფარდობითი ინტერესების მიხედვით. ნებისმიერი განსხვავება, რომლითაც არამაკონტროლებელი წილი იცვლება და გადახდილი ან მიღებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია უშუალოდ კაპიტალში და მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს.

როცა კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, მოგება ან ზარალი ტრანზაქციიდან აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში და იანგარიშება როგორც სხვაობა i) მიღებული კომპენსაციის და შენარჩუნებული წილის სამართლიანი ღირებულებების ჯამურ თანხასა და ii) კონტროლის დაკარგვამდე არსებული შვილობილის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებას და არაკონტროლირებად წილს შორის. ყველა თანხა აღიარებული შვილობილთან დაკავშირებით ადრე, როგორც სხვა საერთო შემოსავალი, აღირიცხება ისე როგორც აღირიცხებოდა ჯგუფს რომ პირდაპირ გაეყიდა შვილობილთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები (გადაკლასიფიცირდება მოგება/ზარალში ან კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში შესაბამისი ფასს-ის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით). კონტროლის დაკარგვის მომენტში, ყოფილ შვილობილში შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება ჩაითვლება შემდგომში როგორც, სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ბასს 39-ის მიხედვით ინვესტიციის შემდგომ პერიოდებში აღრიცხვისათვის, როცა რელევანტურია, ღირებულებად ინვესტიციის ასოცირებულ კომპანიაში ან ერთობლივ საწარმოში.

ბიზნეს კომბინაციები

სხვადასხვა ბიზნესების შეძენა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. გადაცემული კომპენსაცია ბიზნეს კომბინაციის დროს აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და იანგარიშება როგორც შეძენის თარიღში არსებული აქტივების სამართლიანი ღირებულების ჯამი, რაც ჯგუფმა გასცა, ვალდებულებების რაც ჯგუფმა გასწია ყოფილ მფლობელებზე და კაპიტალის, რაც ჯგუფმა შეიტანა კონტროლის სანაცვლოდ. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზოგადად აღიარდება მოგება/ზარალში გაწევის მომენტში.

შეძენის თარიღში, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა ამისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები და თანამშრომელთა სარგებლის პროგრამებთან დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც აღიარდება და იზომება ბასს 12 -ის და ბასს 19-ის მიხედვით შესაბამისად;
- ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, დაკავშირებული შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან ან ჯგუფის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამები. ასეთი ვალდებულებები და კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება ფასს 2 -ის „წილებზე დაფუძნებული ანაზღაურება“ მიხედვით, შეძენის მომენტში.
- აქტივები (ან გასაყიდი ჯგუფები) რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდი ფასს 5-ის „გრძელვადიანი აქტივები გამზადებული გასაყიდად და შეწყვეტილი ოპერაციები“, მიხედვით და შესაბამისად იზომება მოცემული სტანდარტის მიხედვით.

არასაკონტროლო წილები, რომლებიც წარმოადგენს არსებულ წილებს და მფლობელს უფლებას აძლევს, მიიღოს პროპორციული წილი ობიექტის წმინდა აქტივებიდან ლიკვიდაციის

შემთხვევაში, შესაძლებელია, თავიდან აისახოს ან სამართლიანი ღირებულებით, ან შესყიდვის ობიექტის არსებული წმინდა აქტივების აღიარებული ღირებულების იმ წილით, რომლებიც არასაკონტროლო წილების პროპორციულია. აღრიცხვის საფუძველი შეირჩევა თითოეული ტრანზაქციისათვის. არასაკონტროლო წილის სხვა სახეობები აისახება სამართლიანი ღირებულებით, ან სხვა ფასს-ით გათვალისწინებული მიდგომით.

როდესაც კომპენსაცია, რომელსაც მყიდველი საწარმო გადასცემს შესყიდული საწარმოს სანაცვლოდ, შეიცავს აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია პირობითი კომპენსაციის გარიგებით, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული პირობი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება უნდა აღიაროს, როგორც შეძენილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. შეფასების პერიოდის განმავლობაში, მყიდველმა საწარმომ რეტროსპექტიულად უნდა დააკორექტიროს შეძენის თარიღით აღიარებული პირობითი თანხები გუდვილთან მიმართებით. შეფასების პერიოდის განმავლობაში გაკეთებული კორექტირებები წარმოადგენს კორექტირებებს რომლებიც შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ ახალი ინფორმაციის მიღების შედეგად წარმოიშვა (შეფასების პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს შეძენის თარიღიდან ერთ წელს).

იმ პირობითი კომპენსაციის რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირება, აღირიცხება იმის მიხედვით, თუ როგორ კლასიფიცირდება პირობითი კომპენსაცია. თუ ის კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი, გადაფასება არ ხდება, ხოლო თუ კლასიფიცირდება როგორც აქტივი ან ვალდებულება, შეფასება უნდა მოხდეს ფასს 15 ან ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ სტანდარტების მიხედვით, ხოლო შესაბამისი შემოსულობის ან ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში მყიდველმა საწარმომ მისი ადრინდელი წილი შეძენილ საწარმოში უნდა გადააფასოს შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ რეალურ ღირებულებამდე და საჭიროებისამებრ, მოგებაში ან ზარალში აღიაროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი თუ ასეთი არსებობს. წინა საანგარიშგებო პერიოდში მყიდველ საწარმოს შეიძლება სხვა სრულ შემოსავალში ჰქონდეს აღიარებული შეძენილ საწარმოში თავისი წილის ღირებულების ცვლილებები. ასეთ შემთხვევაში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა იმავე საფუძველით უნდა აღიარდეს, როგორც იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო თუ მყიდველი საწარმო პირდაპირ გაასხვისებდა თავის ადრინდელ წილს.

თუ საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანებას აქვს ადგილი, მყიდველმა საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აჩვენოს პირობითი თანხები. შეფასების პერიოდის განმავლობაში, პირობითი თანხები შეიძლება დაკორექტირდეს, ან საწარმომ უნდა აღიაროს დამატებითი აქტივები და ვალდებულებები, თუ მიღებულია ახალი ინფორმაცია შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ, რომელიც თუ მაშინ იქნებოდა ცნობილი, განაპირობებდა ამ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას ამ თარიღისთვის.

ასოცირებული პირები

ასოცირებული პირები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი. ასოცირებულ კომპანიებში ინვესტიციების აღრიცხვა ხდება საბუღალტრო კაპიტალის მეთოდით და თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით. ასოცირებული კომპანიებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს ასოცირებულ პირებში არსებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. ასოცირებული პირის წმინდა აქტივებში მომხდარი შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები ჯგუფის წილში აღიარებულია შემდეგნაირად: (1) ასოცირებული კომპანიის მოგება-ზარალის ჯგუფის წილი ასახულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავალში როგორც ასოცირებული

კომპანიის წილი. (2) სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის წილი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და ცალკე არის წარმოდგენილი. (3) ასოცირებული კომპანიების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება ჯგუფის წილში აღიარებულია მოგება-ზარალში ასოცირებულ კომპანიების შედეგების შესაბამისი წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც ასოცირებული კომპანიის ზარალი უტოლდება ან აღემატება ჯგუფის წილის პროცენტს ასოცირებულ კომპანიაში, რომელშიც შედის ნებისმიერი სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, ჯგუფი არ აღიარებს მასზე მეტ ზარალს, იმ შემთხვევაში თუკი ჯგუფს არ დაუფარავს ვალდებულებები ან არ განახორციელა გადახდა ასოცირებული კომპანიის ნაცვლად. ჯგუფსა და ასოცირებულ კომპანიას შორის განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამოწვეული არარეალიზებული მოგება ბათილდება იმდენად, რამდენიც არის ჯგუფის პროცენტი ასოცირებულ კომპანიაში; არარეალიზებული ზარალი ასევე ბათილდება იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

პროდუქციის წარმოების, მომსახურების მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობების ცვეთის ნორმა შეადგენს 5 %
- საკანალიზაციო არხები და ჭები 7 %
- ავტომობილები, საოფისე ავეჯი და ინვენტარი 20 %
- კომპიუტერული ტექნიკა და მსგავსი აქტივები 30 %
- კავშირგაბმულობის მოწყობილობების და მაგისტრალების 25 %.

კომპანია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების დაახლოებითი სასარგებლო გამოყენების განსაზღვრულია სასარგებლო ვადის მიხედვით თუ აღნიშნული წინასწარ დადგენილია ან სხვა შემთხვევაში ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15%-ს.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო

აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ფასს 9-ს მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები ბალანსში წარდგენილია სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, წმინდა ღირებულებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის. შენატანები

და შედავებით, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც ორგანიზაცია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სესხი პირდაპირ ჩამოიწეროს ხარჯებში როგორც უიმედო, სარეზერვო ანგარიშის გავლის გარეშე. ეს ის შემთხვევაა, როცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი, რომელიც ამ მომენტამდე ჯერ არ ყოფილა საეჭვო ვალების რეზერვში შეტანილი, უფასურდება ისე, როდესაც ნათელია, რომ მისი ამოღება უიმედოა.

ადრე აღიარებული უიმედო ვალების ამოღება აღიარდება როგორც საეჭვო ვალების შემცირება. ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო ვალების ამოღება აღიარდება მოგება-ზარალში როგორც უიმედო ვალების ამოღება.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;

- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ცვლილებები წარდგენაში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ფას“-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ გარკვეული უზუსტობები წინა საანგარიშგებო წლებში. აღნიშნული უზუსტობების კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის აუდიტირებული მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
არამატერიალური აქტივები	148	(9)	157
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	934	(378)	1,312
გაცემული ავანსები	197	197	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	61	(5)	66
სულ მიმდინარე აქტივები	3,212	3,212	-
სულ აქტივები	48,399	48,399	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,051	(3,344)	6,395

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,051	3,051	-
მოკლევადიანი სესხები	11,196	3,356	7,840
მიღებული ავანსი	373	373	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11,587	(338)	11,925
სულ მიმდინარე ვალდებულებები	24,356	24,356	-
სულ ვალდებულებები	27,407	27,407	-
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	20,936	(243)	21,179

	კორექტირებული 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის აუდიტირებულ ი მონაცემების კორექტირება	თავდაპირვ ელი წარდგენა
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	135	135	-
მისაღები დივიდენდი	-	(1)	1
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,339	(525)	2,864
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,355	(8,092)	11,447
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,355	3,355	-
წმინდა გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	569	135	434
მოკლევადიანი სესხები	10,055	4,915	5,140
მიღებული ავანსი	3,218	3,218	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,811	(1,066)	8,877
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	45,280	500	44,780

	კორექტირებუ ლი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის აუდიტირებული მონაცემების კორექტირება	თავდაპირ ველი წარდგენა
შემოსავალი რეალიზაციიდან	27,597	(46)	27,643
თვითღირებულების ხარჯები	(24,314)	(5,976)	(18,338)
საერთო მოგება	3,283	(6,022)	9,305
სხვა შემოსავლები	-	-	-
კომერციული ხარჯები	-	-	-
ადმინისტრაციული ხარჯები	(12,376)	3,124	(15,500)
საოპერაციო მოგება	(9,093)	(2,899)	(6,194)
საფინანსო ხარჯები	(1,527)	-	(1,527)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,461	795	666
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(15,118)	1,361	(16,479)
მოგება დაბეგვრამდე	(24,277)	(742)	(23,535)
მოგების გადასახადის ხარჯი	(67)	-	(67)

წმინდა მოგება	(24,344)	(743)	(23,601)
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	(24,344)	(24,344)	

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბას 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივებისთვის, ხელმძღვანელობა იყენებს განსაზღვრებებს იმის დადგენაში განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეებთან არსებული ნაშთების პირობების და გარემოებები განმარტებულია 22-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივებისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მომველეობა, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და კომპანიას არ დაუწერავს, ნაადრევად ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ეს სტანდარტებია:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 16 - იჯარა
- ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- ჰეჯირების აღრიცხვა. შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის

რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ ამჟამად მოქმედ პრინციპებს, მათ შორის ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალდირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად სახსრებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

ჯერ კიდევ ვასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩაანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო

ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიადან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 - განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით

ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით უზრუნველყოფს გაურკვევლობის უკეთესად შეფასებას.

საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯასა და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა

შესწორებები მიზნად ისახავს იმის განმარტებას, რომ კომპანიას ქონების რეკლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად ან პირიქით შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ადგილი ჰქონდა ქონების გამოყენების ფორმის ცვლილებას. შესწორებები ხაზს უსვამს, რომ გამოყენების ფორმის ცვლილების მტკიცებულება შეიძლება განსხვავდებოდეს ბასს 40-ში ჩამოთვლილთაგან და რომ გამოყენების ფორმის ცვლილება შესაძლებელია მიმდინარე მშენებლობებისათვის (ანუ გამოყენების ფორმის ცვლილება არ ვრცელდება მხოლოდ დასრულებულ ქონებაზე).

შესწორებები ეხება 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. ადრეული გამოყენება ნებადართულია. კომპანიას შეუძლია შესწორება გამოიყენოს რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია „წინა რიცხვით ცოდნის“ ეფექტის გარეშე) ან პროსპექტიულად. მოქმედებს გარდამავალი დებულებები.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებათა გამოყენებამ შეიძლება არსებითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, ქონების გამოყენების ფორმის ცვლილების შემთხვევაში.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). შესწორებები პერსპექტიულია და კომპანია გამოიყენებს მათ და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის იანვრიდან.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მათ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ფასს 1 და ბასს 28-ში, რომლებიც ჯერ კომპანიისათვის სავალდებულო არ არის. პაკეტში აგრეთვე შედის ფასს 12-ის შესწორება, რომელიც უკვე სავალდებულოა მიმდინარე წელს - გამოყენების დეტალები იხილეთ ქვეთავში ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მოქმედი ფასს-ების თაობაზე.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციას და მსგავს პირებს შეუძლიათ მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში არსებული მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ინვესტიციები ასახონ ინდივიდუალურად თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსათვის. ეს არჩევანი კომპანიამ უნდა გააკეთოს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას. ისეთი პირის ოფციის შემთხვევაში, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მისი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების, ამავდროულად, საინვესტიციო კომპანიების მიერ გამოყენებული რეალური ღირებულებით ასახვის შენარჩუნების თავისუფლება, მაშინ, როდესაც თავად კომპანია წრფივ მეთოდს იყენებს, შესწორება ასევე განმარტავს, რომ კომპანიას ამ მიდგომის გამოყენება შეუძლია თითოეული მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პირები საინვესტიციო კომპანიებია. შესწორებები ძალაშია რეტროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

როგორც ფასს 1-ის, აგრეთვე ბასს 28-ის შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანია ამჟამად ფასს-ებს უკვე იყენებს და არც ვენჩურული კაპიტალით დაფუძნებული ორგანიზაციაა. გარდა ამისა, კომპანიას არ გააჩნია დაკავშირებული პირი ან ერთობლივი საწარმო, რომელიც თავად იქნებოდა საინვესტიციო კომპანია.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა	მოდელები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამურად
საწყისი ღირებულება											
ბალანსი 31.12.2016	108	4,286	78,577	1,553	301	636	16,288	42,553	1,618	84	146,004
დანამატები	-	59	3,550	77	17	32	2,636	460	3,008	133	9,972
აქტივების ჩამოწერა	-	-	(47,205)	(120)	(13)	-	(2,352)	(2,480)	(2,231)	(187)	(54,588)
ბალანსი 31.12.2017	108	4,345	34,922	1,510	305	668	16,572	40,533	2,395	30	101,388
აკუმულირებული ცვეთა											
ბალანსი 31.12.2016	-	(1,532)	(50,513)	(928)	(208)	(321)	(7,390)	(20,499)	(481)	(9)	(81,881)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(138)	(6,126)	(178)	(19)	(50)	(571)	(1,565)	(371)	15	(9,003)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	31,671	92	9	-	-	2,532	227	4	34,535
ბალანსი 31.12.2017	-	(1,670)	(24,968)	(1,014)	(218)	(371)	(7,961)	(19,532)	(625)	10	(56,349)
წმინდა ღირებულება											
ბალანსი 31.12.2016	108	2,754	28,064	625	93	315	8,898	22,054	1,137	75	64,123
ბალანსი 31.12.2017	108	2,675	9,954	496	87	297	8,611	21,001	1,770	40	45,039

5 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა	მოდემები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამურად
საწყისი ღირებულება											
ბალანსი 31.12.2017	108	4,345	34,922	1,510	305	668	16,572	40,533	2,395	30	101,388
დანამატები	-	2,150	3,663	105	11	22	7,461	12,923	5,965	426	32,726
აქტივების ჩამოწერა	-	(860)	(7,216)	(125)	(46)	(127)	(7,471)	(8,723)	(5,504)	(411)	(30,483)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	152	925	(24,617)	(1,203)	(200)	(340)	(11,585)	(34,001)	(1,249)	(67)	(72,185)
გადაფასების ნამეტ	1,092	405	(3,516)	(112)	(23)	(66)	-	-	(465)	(40)	(2,725)
ბალანსი 31.12.2018	1,352	6,965	3,236	175	47	157	4,977	10,732	1,142	(62)	28,721
აკუმულირებული ცვეთა											
ბალანსი 31.12.2017	-	(1,670)	(24,968)	(1,014)	(218)	(371)	(7,961)	(19,532)	(625)	10	(56,349)
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების	-	(135)	(2,414)	(143)	(18)	(53)	(610)	(1,681)	(478)	-	(5,532)
ცვეთა	-	2	3,143	23	1	32	2	119	3	359	3,684
ძირითადი საშუალებების გადაფასების ელიმინირება	-	1,317	24,239	1,134	235	392	8,569	21,094	1,100	1	58,081
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ელიმინირება	-	486	-	-	-	-	-	-	-	-	486
ბალანსი 31.12.2018	-	-	-	-	-	-	-	-	-	370	370
წმინდა ღირებულება											
ბალანსი 31.12.2017	108	2,675	9,954	496	87	297	8,611	21,001	1,770	40	45,039
ბალანსი 31.12.2018	1,352	6,965	3,236	175	47	157	4,977	10,732	1,142	308	29,091

6 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამურად
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2016	635	376	1,011
დანამატები	-	-	-
აქტივების ჩამოწერა	(284)	(289)	(573)
ბალანსი 31.12.2017	351	87	438
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 31.12.2016	(467)	(277)	(744)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(40)	(15)	(55)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	284	225	509
ბალანსი 31.12.2017	(223)	(67)	(290)
წმინდა ღირებულება			
ბალანსი 31.12.2016	168	99	267
ბალანსი 31.12.2017	128	20	148

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამურად
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2017	351	87	438
დანამატები	-	-	-
აქტივების ჩამოწერა	(190)	-	(190)
ბალანსი 31.12.2018	161	87	248
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 31.12.2017	(223)	(67)	(290)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(20)	(3)	(23)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	177	-	177
ბალანსი 31.12.2018	(66)	(70)	(136)
წმინდა ღირებულება			
ბალანსი 31.12.2017	128	20	148
ბალანსი 31.12.2018	95	17	112

7 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები სწრაფი გადახდის აპარატებიდან	108	80
მოთხოვნები ოპერატორებიდან	831	1,022
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	9	4
სხვა სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	357	222
საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	(570)	(400)
საექვო მოთხოვნები	-	6
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	735	934

8 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შენიშვნა 9 - ფული და ფულადი ექვივალენტები		
ლარები საბანკო ანგარიშებზე	74	60
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	1	-
ევრო საბანკო ანგარიშებზე	-	-
რუსული რუბლი საბანკო ანგარიშებზე	-	-
შვეიცარული ფრანკი საბანკო ანგარიშებზე	-	-
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	75	60
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	1
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	76	61

9 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხი სს თიბისი ბანკი	2,387	2,655
შპს "გრინ პროექტი"	-	396
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,387	3,051

10 გადასახდელი დივიდენდები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შპს "სისტემ ნეტ"	500	500
შპს "მეკავშირე 97"	184	184
ლილი სუბიტაშვილი	124	156
ვახტანგ ამაშუკელი	18	25
ნაირა კვესელავა	76	76
მარინა იაშვილი	9	12
სულ გადასახდელი დივიდენდები	911	953

11 საგადასახადო ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი მოგების გადასახადი	1	-
გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	8	-
გადასახდელი დღგ	(5)	-
გადასახდელი აქციზი	(48)	-
გადასახდელი ქონების გადასახადი	(74)	-
გადასახდელი მიწის გადასახადი	1	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	249	247
სულ საგადასახადო ვალდებულებები	132	247

12 მოკლევადიანი სესხები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი - სს თიბისი ბანკი	1,230	699
გადასახდელი პროცენტი სს თიბისი ბანკი	16	12
მოკლევადიანი სესხი შპს "ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი ფოპტნეტი"	746	867
მოკლევადიანი სესხი შპს "სისტემ ნეტ"	1,696	2,754
მოკლევადიანი სესხი შპს "გრინ პროექტი"	3,081	3,911
მოკლევადიანი სესხი ფ/პ ფრიდონ ინჯია	1,260	1,713
მოკლევადიანი სესხი ფ/პ ავთანდილი იაშვილი	852	1,200
გადასახდელი პროცენტი შპს "სისტემ ნეტ"	87	-
გადასახდელი პროცენტი შპს "გრინ პროექტი"	46	40
მოკლევადიანი სესხი შპს "სელკომი"	148	-
სულ მოკლევადიანი სესხები	9,162	11,196

13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	46	135
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	145	182
ვალდებულებები ოპერატორებთან	14,362	10,578
ვალდებულებები სააღსრულებო ბიუროსთან	1	1
გადასახდელი ხელფასები	453	551
სხვა სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	151	140
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15,158	11,587

14 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი სატელევიზიო მომსახურებიდან	4,337	4,392
შემოსავალი სატელეფონო ზარებიდან	1,803	2,435
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	10,038	12,479
შემოსავალი თემატური პაკეტიდან	1,149	1,172
შემოსავალი საინფორმაციო ორგანიზაციებთან და სპეცნომრებთან დარეკვებიდან	44	112
შემოსავალი ურთიერთჩართვის მომსახურება	2,377	6,200
შემოსავალი არხების იჯარიდან	285	290
შემოსავალი ოპტიკური ძარღვის იჯარიდან	41	69
შემოსავალი სახაზო-საკაბელო წყვილის იჯარიდან	126	136
შემოსავალი ერთჯერადი ინსტალაციიდან	331	322
სხვა შემოსავლები	7	(10)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	20,538	27,597

15 თვითღირებულების ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	4,066	4,308
კომუნალური დანახარჯები	816	837
ძირითადი მასალების და ნედლეულის დანახარჯები	1,135	1,648
საწვავის დანახარჯები	337	329
რემონტის დანახარჯები	120	382
კაბელების მომსახურების დანახარჯები	214	167
ტექნიკური მომსახურების დანახარჯები	73	45
იჯარის დანახარჯები	126	130
სხვა თვითღირებულების ხარჯები	6	22
დამხმარე მასალების და ნედლეულის დანახარჯები	7	17
ურთიერთ ჩართვისთვის გაწეული ხარჯები	1,204	4,654
ინტერნეტის ხარჯები	4,567	6,402
არხების იჯარის ხარჯები	132	169
ცვეთის ხარჯები	2,507	4,399
კომპიუტერის დანახარჯები	-	1
მივლინების დანახარჯები	7	9
გაყიდული საქონლის შესყიდვის ხარჯები	443	795
სხვა მასალების ხარჯები	11	-
სულ თვითღირებულების ხარჯები	15,771	24,314

16 ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	3,048	4,659
ბილინგის და ქოლცენტრის ხარჯი	254	254
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	249	730
რეკლამის ხარჯები	25	22
ბანკის საკომისიო	28	40
საკონსულტაციო ხარჯები	232	23
მომსახურების საკომისიო	126	142
ხელფასის ხარჯები	3,964	4,016
საწვავის ხარჯები	172	144
მომსახურების ხარჯები	63	41
კვების ხარჯები	107	330
იჯარის ხარჯები	707	841
საოფისე და საკანცელარიო ხარჯები	44	73
ტრანსპორტირების ხარჯები	46	8
კომუნიკაციის ხარჯები	115	145
მივლინების ხარჯები	18	7
რემონტის ხარჯები	120	130
საგადასახადო ხარჯები	145	315
წარმომადგენლობითი ხარჯები	42	50
დებიტორული დავალიანების რეზერვი	170	398
კომუნალური ხარჯები	6	8
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	9,681	12,376

17 საფინანსო ხარჯი

	2018 წელი	2017 წელი
საპროცენტო ხარჯები	983	1,527
სულ საფინანსო ხარჯი	983	1,527

8 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

	2018 წელი	2017 წელი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	-	2
თანამშრომელთა კვებიდან მიღებული შემოსავალი	-	133
საგადასახადო შემოსავლები	-	175
შემოწირულობიდან მიღებული შემოსავალი	151	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	152	144
შემოსავალი იჯარიდან	4	4
შემოსავალი მარაგების რეალიზაციიდან	439	840
მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	210	45
თანამშრომლებზე გაცემული საწვავიდან მიღებული შემოსავალი	40	113
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	41	5
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,037	1,461

19 სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
უიმედო დებიტორის დარეზერვება	29	480
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	175	16
ქველმოქმედების ხარჯები	42	42
ჯარიმის ხარჯები	7	44
მარაგების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი	259	9,896
საგადასახადოს ჯარიმების ხარჯები	1	1
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯები	363	133
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	126	40
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	-
დაზიანებული მოდემების ჩამოფასების ხარჯები	39	-
ძირითადი საშუალების გადაფასებიდან მიღებული ზარალი	16,636	4,323
დებიტორული დავალიანების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	3	143
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17,680	15,118

20 ფინანსური რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- გეოგრაფიული რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	735	934
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	76	61
სულ ფინანსური აქტივები	811	995

ფინანსური ვალდებულებები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,387	3,051
გადასახდელი დივიდენდები	7,288	8,328
მოკლევადიანი სესხები	6,137	8,816
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13,802	8,953
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,614	29,148

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	735	934
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	76	61
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	811	995

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

გეოგრაფიული რისკი

კომპანიის აქტივები საქართველოში მდებარეობს. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	735	-	-	-	-	735
გაცემული სესხები	-	-	-	-	-	-
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	76	-	-	-	-	76
ფინანსური ვალდებულებები						
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-	(2,635)	-	(2,635)
გადასახდელი დივიდენდები	(8,199)	-	-	-	-	(8,199)
მოკლევადიანი სესხები	(670)	(760)	(8,663)	(2,635)	-	(12,728)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(15,158)	-	-	-	-	(15,158)
ლიკვიდურობის პოზიცია	(23,216)	(760)	(8,663)	(5,270)	-	(37,909)

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	934	-	-	-	-	934
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	61	-	-	-	-	61
ფინანსური ვალდებულებები						
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-	(3,529)	-	(3,529)
გადასახდელი დივიდენდები	(8,328)	-	-	-	-	(8,328)
მოკლევადიანი სესხები	(487)	(487)	(11,457)	(3,133)	-	(15,564)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(11,587)	-	-	-	-	(11,587)
ლიკვიდურობის პოზიცია	(19,407)	(487)	(11,457)	(6,662)	-	(38,013)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	521	214	735
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	75	1	76
ფინანსური ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	(1,866)	(521)	(2,387)
გადასახდელი დივიდენდები	7,288	-	7,288
მოკლევადიანი სესხები	(7,164)	(1,999)	(9,163)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(15,099)	(59)	(15,158)
ღია საბალანსო პოზიცია	(16,245)	(2,364)	(18,609)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	465	469	-	934
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	61	-	-	61
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	(2,655)	396	-	(2,259)
გადასახდელი დივიდენდები	8,328	-	-	8,328
მოკლევადიანი სესხები	(9,966)	(1,230)	-	(11,196)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(11,392)	(22)	(173)	(11,587)
ღია საბალანსო პოზიცია	(15,159)	(387)	(173)	(15,719)

21 პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. აგრეთვე, კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავები მოთხოვნებზე, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

შპს ახალი ქსელები

1. დავა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ.

- დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა.
- დავის სტატუსი: პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული შპს ახალი ქსელების სარჩელი. წარდგენილია სააპელაციო საჩივარი, დავა მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში. შპს ახალი ქსელების პოზიცია სააპელაციო საჩივრის პერსპექტივასთან დაკავშირებით არის განუსაზღვრელი.

2. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ.

- დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალაება.
- დავის სტატუსი: პირველ და მეორე ინსტანციებში არ იქნა დაკმაყოფილებული ჩვენი მოთხოვნა. წარდგენილია საკასაციო საჩივარი. შპს ახალი ქსელების პოზიცია საჩივრის პერსპექტივასთან დაკავშირებით არის განუსაზღვრელი.

3. სსიპ შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ

დავის მიმდინარეობა თბილისის საქალაქო სასამართლოში; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს ახტელის და შპს ახალი ქსელების სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ ბათილად იქნა ცნობილი:

- სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 9 ოქტომბრის #42763 ბრძანება და 2014 წლის 10 ოქტომბრის #094-85 საგადასახადო მოთხოვნა ქონების გადასახადის დარიცხვის ნაწილში (სულ 487'210,03 ლარი, მათ შორის ქონების გადასახადის ნაწილში გადასახადის ძირითადი თანხა - 292'799 ლარი, ჯარიმა - 146'399 ლარი, საურავი 91'412,79 ლარი);
- სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 11 ნოემბრის #46713 ბრძანება ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება (საჩივარი #9256/2/14);
- სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 2 ოქტომბრის #42007 ბრძანება და 2014 წლი 2 ოქტომბრის #094-76 საგადასახადო მოთხოვნა ქონების გადასახადის დარიცხვის ნაწილში (სულ 1'042'427,12 ლარი, მათ შორის, ქონების გადასახადის ნაწილში გადასახადის ძირითადი თანხა - 564'313 ლარი, ჯარიმა - 282'156 ლარი, საურავი - 293'701,1 ლარი);
- სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 14 ნოემბრის #47215 ბრძანება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება (საჩივარი #9255/2/14);

- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს ახალი და შპს ახალი ქსელები გათავისუფლებულნი იქნენ ჯამურად 1'529'637,15 ლარის ოდენობით თანხის გადახდის ვალდებულებისგან სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

დავის მიმდინარეობა თბილისის სააპელაციო სასამართლოში;

- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.
- აპელანტების მოთხოვნას წარმოადგენდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით არ დაკმაყოფილდეს სარჩელი.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2018 წლის 11 მაისის განჩინებით არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრები და უცვლელად დატოვა ძალაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დავის მიმდინარეობა საქართველოს უზენაეს სასამართლოში;

- 2018 წლის 31 ივლისსა და 10 აგვისტოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები.
- საკასაციო საჩივრების მოთხოვნა იდენტურია - გაუქმებულ იქნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 მაისის #38/516-17 განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას შპს ახალ ქსელებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.
- საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივრები, თუმცა წინამდებარე წერილის შედგენის თარიღისთვის არანაირი სხვა საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა. შპს ახალი ქსელების მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით: მიგვაჩნია, რომ არსებობს პერსპექტივა დავის ჩვენს სასარგებლოდ დასრულების თაობაზე.

4. სს სილქნეტი შპს „ახალი ქსელების“ (ერთ-ერთი მოპასუხე) წინააღმდეგ

- დავის საგანი: მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, 303 905 ლარის, ასევე სასამართლო ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.
- სტატუსი: მიმდინარეობდა განხილვა სასამართლოში, თუმცა მხარეთა თანხმობით საქმე გადაეცა მედიაციას. მედიაციის პროცესში მორიგება ვერ შედგა და სავარაუდოდ უახლოეს მომავალში საქმე კვლავ დაბრუნდება სასამართლოში.
- შპს ახალი ქსელების პოზიცია საჩივრის პერსპექტივასთან დაკავშირებით არის განუსაზღვრელი.

5. ეკონომიკის სამინისტრო შპს „ახალი ქსელების“ წინააღმდეგ

- დავის საგანი: თანხის დაკისრება 1295.91 ლარის ოდენობით
- სტატუსი: მიმდინარეობს საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში შპს ახალი ქსელების პოზიცია დავასთან დაკავშირებით:
- შპს ახალი ქსელების პოზიცია საჩივრის პერსპექტივასთან დაკავშირებით არის განუსაზღვრელი.

6. გიორგი ფეიქრიშვილი შპს „ახალი ქსელების“ წინააღმდეგ

- დავის საგანი: სამსახურში აღდგენა
- სტატუსი: სარჩელი მიღებულია წარმოებაში პირველი ინსტანციის სასამართლოში.
- შპს ახალი ქსელების პოზიცია საჩივრის პერსპექტივასთან დაკავშირებით არის განუსაზღვრელი.

7. შპს „ახალი ქსელები“ შპს „მაიფონის“ წინააღმდეგ

- დავის საგანი: თანხის დაკისრება 9573.41 ლარის ოდენობით
- სტატუსი: სარჩელი მიღებულია წარმოებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.
- შპს ახალი ქსელების პოზიცია საჩივრის პერსპექტივასთან დაკავშირებით არის განუსაზღვრელი.

8. შპს „ბაჯითი“ შპს „ახალი ქსელების“ წინააღმდეგ.

- დავის საგანი: ჩვენს მიმართ არსებული დავალიანების 7697.57 ლარის ჩამოწერა
- სტატუსი: მიმდინარეობს საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში.
- შპს ახალი ქსელების პოზიცია საჩივრის პერსპექტივასთან დაკავშირებით არის განუსაზღვრელი.

9. შპს „ახალი ქსელები“ შპს „Net House Telecom-ის“ წინააღმდეგ.

დავის საგანი: თანხის დაკისრება 9895.29 ლარის ოდენობით

სტატუსი: სარჩელი მიღებულია წარმოებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ჩვენს მიერ მოთხოვნილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

პოზიცია: მენეჯმენტის ვარაუდით ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

შპს ახტელი

დავის მიმდინარეობა თბილისის სამოქალაქო სასამართლოში:

თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს ახტელის და შპს ახალი ქსელების სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ ბათილად იქნა ცნობილი:

- სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 9 ოქტომბრის #42763 ბრძანება და 2014 წლის 10 ოქტომბრის #094-85 საგადასახადო მოთხოვნა ქონების გადასახადის დარიცხვის ნაწილში (სულ 487,210 ლარი, მათ შორის ქონების გადასახადის ნაწილში ძირითადი თანხა - 292,799 ლარი, ჯარიმა - 146,399 ლარი, საურავი - 91,412.79 ლარი);
- სსიპ შემოსავლების სამსახური 2014 წლის 11 ნოემბრის #46713 ბრძანება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება (საჩივარი #9256/2/14);
- სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 2 ოქტომბრის #42007 ბრძანება და 2014 წლის 2 ოქტომბრის #094-76 საგადასახადო მოთხოვნა ქონების გადასახადის დარიცხვის ნაწილში (სულ 1,042,427.12 ლარი, მათ შორის ქონების გადასახადის ნაწილში გადასახადის ძირითადი თანხა - 564,313 ლარი, ჯარიმა - 282,516 ლარი, საურავი - 293,701.1 ლარი)
- სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 14 ნოემბრის #47215 ბრძანება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება (საჩივარი #9255/2/14);

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს ახტელი და შპს ახალი ქსელები გათავისუფლებული იქნენ ჯამურად 1,529,637.15 ლარის ოდენობით თანხის გადახდის ვალდებულებისგან სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

დავის მიმდინარეობა თბილისის სააპელაციო სასამართლოში

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

აპელანტების მოთხოვნას წარმოადგენდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით არ დაკმაყოფილდეს სარჩელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2018 წლის 11 მაისის განჩინებით არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრები და უცვლელად დატოვა ძალაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დავის მიმდინარეობა საქართველოს უზენაეს სასამართლოში

2018 წლის 31 ივლისსა და 10 აგვისტოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

საკასაციო საჩივრების მოთხოვნა იდენტურია - გაუქმებულ იქნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 მაისის #38/516-17 განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას შპს ახალ ქსელებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივრები, თუმცა აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღის მდგომარეობით არანაირი სხვა საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც უზენაესი სასამართლო დადებით გადაწყვეტილებას გამოიტანს კომპანიისათვის და არ დააკისრებს ზემოთ მოცემულ ვალდებულებას.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამ იღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2016 და 2017 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

22 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	სესხი	გადასახდელი დივიდენდები
შპს ულტრამედი	7	-	-	-
შპს ივერია ქსელი	-	3	-	-
შპს მეთანი	-	26	-	-
შპს მეკავშირე 97	-	-	-	184
შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი -ფოპნეტი	7	2,725	746	-
შპს სელკომი	-	-	147	-
შპს ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	57	-	-	-
შპს ჯორჯიან სერვის ნეთვორქი	-	-	-	-
შპს სისტემ ნეტ	-	11,293	1,783	500
შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	-	97	-	-
შპს პელიკომი	23	-	-	-
ფრიდონ ინჯია	-	-	1,260	-
ავთანდილიაშვილი	-	-	852	-
ლილი სუხიტაშვილი	-	-	-	124
ვახტანგ ამაშუკელი	-	-	-	18
ნაირა კვესელავა	-	-	-	76
მარინა იაშვილი	-	-	-	9
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	94	14,144	4,788	911

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	სესხი	გადასახდელი დივიდენდები
შპს ულტრამედი	7	-	-	-
შპს ბოლნისის ახალი ქსელები	-	2	-	-
შპს ივერია ქსელი	109	-	-	-
შპს მეთანი	-	28	-	-
შპს მეკავშირე 97	-	2	-	184
შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი -ფოპნეტი	8	2,059	867	-
შპს სელკომი	-	8	-	-
შპს ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	40	-	-	-
შპს ჯორჯიან სერვის ნეთვორქი	-	-	-	-
შპს სისტემ ნეტ	-	8,053	2,754	500
შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	-	45	-	-
ავთანდილიაშვილი	-	-	1,200	-
ფრიდონ ინჯია	-	-	1,713	-
შპს პელიკომი	6	-	-	-
ლილი სუხიტაშვილი	-	-	-	156
ვახტანგ ამაშუკელი	-	-	-	25
ნაირა კვესელავა	-	-	-	76
მარინა იაშვილი	-	-	-	12
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	170	10,197	6,534	953

ნაშთი ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2018	შესყიდვები	რეალიზაცია	შემოდინება მიღებული სესხებიდან
შპს ივერია ქსელი	296	152	-
შპს მეკავშირე 97	32	-	-
შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპნეტი	704	17	31
შპს სელკომი	101	-	180
შპს ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	1	20	-
შპს მეთანი	7	-	-
შპს ჯორჯიან სერვის ნეთვორქი	1	2	-
ფრიდონ ინჯია	-	-	140
ავთანდილიაშვილი	-	-	98
შპს სისტემ ნეტ	5,791	58	150
შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	239	246	-
შპს პელიკომი	5	22	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	7,177	517	599

ნაშთი ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2017	შესყიდვები	რეალიზაცია	შემოდინება მიღებული სესხებიდან	გადახდილი დივიდენდი
შპს ევრიკა ტელერადიოკომპანია	6	-	-	-
შპს ბოლნისის ახალი ქსელები	-	-	-	-
შპს ივერია ქსელი	49	61	-	-
შპს მეკავშირე 97	32	-	-	-
შპს მეთანი	15	-	-	-
შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი -ფოპნეტი	888	22	120	-
შპს სელკომი	99	-	-	-
ფრიდონ ინჯია	-	-	217	-
ავთანდილიაშვილი	-	-	156	-
შპს ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	1	20	-	-
შპს ჯორჯიან სერვის ნეთვორქი	1	-	-	-
შპს სისტემ ნეტ	7,811	113	405	-
შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	164	313	-	-
შპს პელიკომი	5	67	-	-
მარინა იაშვილი	-	-	-	-
დამფუძნებლები				59
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	9,071	596	898	59

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2018 წელი	2017 წელი
დირექტორი - ნანა შარაშენიძე	120	125
დამფუძნებელი - ფრიდონ ინჯია	562	644
დამფუძნებელი - ავთანდილ იაშვილი	511	586
დამფუძნებელი - ვახტანგი ამაშუკელი	18	18
დამფუძნებელი - მარია იაშვილი	17	17
საბოლოო მშობელი კომპანიის დამფუძნებელი - ხათუნა ინჯია	54	47
საბოლოო მშობელი კომპანიის დამფუძნებელი (თეიმურაზი ქუტაშვილი)	9	20
საბოლოო მშობელი საწარმოს დამფუძნებელი (ჯამბული გეგეჭკორი)	7	5
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	1,298	1,462

23 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. 2018 წლის ფინანსური შედეგებით ზარალმა შეადგინა (22,540) ლარი, ხოლო მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ გააჩნდა ბალანსის შემდგომი მოვლენები.

26 ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ახალი ქსელები“

მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2018 წ.

1. კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

შპს „ახალი ქსელები“, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომერი: 211326732, მისი რეგისტრაცია განხორციელდა 1996 წლის 2 აგვისტოს და რეგისტრაციის ნომერია 5ა/4-477; მარეგისტრირებული ორგანო: საბურთალოს რ-ნის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42.

კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს:

- პარტნიორთა კრება
- სამეთვალყურეო საბჭო.
- ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა– დირექტორი

შპს „ახალი ქსელების“ მესაკუთრეები არიან: ფრიდონ ინჯია 46.238%; ავთანდილ იაშვილი 33.177%; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ 10%; ვახტანგი ამაშუკელი 0.64%; ნაირა კვესელავა 1.6%; ლილი სუხიტაშვილი 4.16%; თეიმურაზ ლოლობერიძე 0.25%; მარინა იაშვილი 0.25%; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეკავშირე-97 3.685%;

დღეისათვის კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს: ფინანსურ, ტექნიკურ, სამშენებლო და კომერციულ საკითხებში. კომპანიაში დასაქმებულია 530 თანამშრომელი. კომპანია მომსახურებას ახორციელებს სერვისცენტრების მეშვეობით, რომელთაც ხელმძღვანელობენ მენეჯერები. სერვისცენტრები არ წარმოადგენენ კომპანიის ფილიალებს.

1996 წლის 27 ივნისს შპს „ახალი ქსელები“-ს მიერ 100%-იანი წილით დაფუძნებული იქნა ახალი კომპანია შპს „ახტელი“. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით შპს „ახტელი“ წარმოადგენს შპს „ახალი ქსელების“ ერთადერთ შვილობილ კომპანიას.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

შპს "ახალი ქსელები" და შპს „ახტელი“ წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ.თბილისი; ქ.ქუთაისი; ქ.ზუგდიდი; ქ.ფოთი; ქ.მარტვილი; ქ.თერჯოლა; ქ.გორი; ქ.ზესტაფონი. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები

და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს. შპს „ახალი ქსელების“ და შპს „ახტელის“ საქმიანობა ორ მიმართულებას მოიცავს. ესენია საცალო და სატელეკომუნიკაციო ქსელის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბითუმო საქმიანობები:

- ფიქსირებული ქსელში ურთიერთჩართვა ზარის წამოწყება/დასრულება
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვება.
- საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვება
- ინტერნეტის მომსახურების მიწოდება.

კომპანიის მიზანია უზრუნველყოს მომხმარებელი თანამედროვე, სწრაფი და ხარისხიანი სატელეკომუნიკაციო კავშირებით და შესთავაზოს მათ მრავალფეროვანი სერვისები და მომსახურების მაღალი ხარისხი.

კომპანიის ფუნქციონირების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.

შპს „ახალ ქსელებს“ და შპს „ახტელს“ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში გავლილი აქვს ავტორიზაციები მომსახურების შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა
- ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა
- ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა
- მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა
- მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის სხვა საქმიანობის სახეები

- ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება
- ინტერნეტ მომსახურება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, შპს „ახალი ქსელები“ და შპს „ახტელი“ აღიარებულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად და დაკისრებული აქვს სპეციფიური ვალდებულებები ბაზრის შემდეგ სეგმენტებზე:

- საკუთარი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვება და ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება.
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვება.
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურება.

3. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები


შპს „ახალი ქსელები“ ელექტრონული საკომუნიკაციო ფიქსირებული ქსელის ბაზარზე საქმიანობას ახორციელებს 1996 წლის 2 აგვისტოდან.

შპს „ახტელი“ ელექტრონული საკომუნიკაციო ფიქსირებული ქსელის ბაზარზე საქმიანობას ახორციელებს 1997 წლის 27 ივნისიდან.

კომპანია ემსახურება ფიქსირებული სატელეფონო ქსელის 124 287 აბონენტს, ხოლო ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობს 54 904 აბონენტი.


წლების განმავლობაში მცირდება ფიქსირებული ქსელის სატელეფონო აბონენტების რაოდენობა. მიმდინარე პერიოდში ახალი ქსელების და ახტელის ფიქსირებული აბონენტების რაოდება ბაზრის საერთო წილის 18,5%-ს შეადგენს. ასევე შემცირებულია შემოსავლები, ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურების თითქმის ყველა სახეობის მიხედვით: საერთაშორისო ზარების წამოწყება/დასრულება; ზარები საქალაქათაშორისო და მობილურ ოპერატორებთან; ადგილობრივი ზარის დასრულება ფიქსირებულ სატელეფონო ქსელში; საერთაშორისო და საქალაქათაშორისო ზარები ჩაანაცვლა ინტერნეტმა, ხოლო მობილურებთან კავშირი– ისევ მობილურმა ოპერატორებმა შიდა ქსელში ზარების საფასურის მინიმუმამდე შემცირებით. რაც გახდა მიზეზი ფიქსირებულ სატელეფონო ქსელში ზარების შემცირების.

ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა 2011-2018 წ.




გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

შემოსავლები ფიქსირებული ქსელით მომსახურებიდან 2011-2018 წ




გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

**ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა კონსოლიდირებული
მონაცემები 2011-2018 წ.**




გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

**კონსოლიდირებული შემოსავლები ფიქსირებული ქსელით მომსახურებიდან 2011-
2018 წ.**




გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობის შემცირების, ასევე ამ მიმართულებიდან შემოსავლების შემცირების ტენდენციიდან გამომდინარე, ახალი ქსელები და ახტელი იწყებს აბონენტებისთვის ინტერნეტ სერვისის მიწოდებას. წარმოგიდგენთ ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის ზრდის მონაცემებს და ინტერნეტ მომსახურებიდან შემოსავლების ზრდის მაჩვენებლებს:




გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge




გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

შემოსავალი ინტერნეტ მომსახურებიდან 2011-2018 წ.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

შემოსავალი ინტერნეტ მომსახურებიდან (კონსოლიდირებული მონაცემები) 2011-2018 წ.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

4. კომპანიის სტრატეგია და მიზნები.


შპს „ახალი ქსელების“ და შპს „ახტელის“ მიერ 2017-2018 წელს განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევა:

- არსებული აბონენტების შენარჩუნება
- ახალი აბონენტების მოზიდვა
- არსებული აბონენტების ტექნოლოგიის შეცვლა (გადართვა ADSL –ტექნოლოგიიდან P2P – ტექნოლოგიაზე)

კომპანია აბონენტებს ინტერნეტ სერვისს აწვდის ADSL და P2P ტექნოლოგიების გამოყენებით. ADSL ტექნოლოგია ეს არის პირველი ტექნოლოგია რომელსაც იყენებდა კომპანია. იგი ინტერნეტის განვითარების პირველ ეტაპზე შეიქმნა და დღემდე გამოიყენება მთელ მსოფლიოში. აღნიშნული ტექნოლოგია დაფუძნებულია ინტერნეტის სატელეფონო სპილენძის კაბელით გადაცემაზე. მისი დადებითი მხარე იყო ის, რომ არ იყო საჭირო ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა. გამოიყენება არსებული ფიქსირებული ტელეფონის ინფრასტრუქტურა. თუმცა უარყოფითი მხარე აღნიშნული ტექნოლოგიის არის დაბალი სიჩქარე 4-5მბ.

P2P (წერტილი-წერტილი) არის ახალი ტექნოლოგია, რომელიც საქართველოში არსებულ სხვა ინტერნეტ პროვაიდერებთან გამოიყენება მხოლოდ, როგორც “გამოყოფილი არხებით” ინტერნეტის მიწოდება. ჩვენ შემთხვევაში ეს ტექნოლოგია გადავიტანეთ სტანდარტულ აბონენტებზეც. ტექნოლოგია ითვალისწინებს ძირითადი აპარატურიდან პირდაპირ აბონენტთან ოპტიკური ძარღვის მიყვანას შუალედური რგოლების გარეშე, რაც უზრუნველყოფს ინტერნეტის საიმედოობას, ფაქტიურად შეუზღუდავ სიჩქარეს; მაღალ ხარისხს; აბონენტთან გამოყენებული მოწყობილობის ფართო არჩევანს; ინფორმაციის დაცულობას (უსაფრთხოებას); გამარტივებულია დაზიანების აღმოჩენის პროცესი; ოპტიმალურად გამოიყენება პორტები (არ იწვევს პორტების მეჩხერიანობას). თუმცა აღნიშნული ტექნოლოგია მოითხოვს საწყის ეტაპზე დიდ ინვესტიციას. რაც კომპანიამ გასწია 2015-2017 წლებში.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით შპს „ახალი ქსელების“ და შპს „ახტელის“ ინტერნეტ მომხმარებლების საერთო რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით შეადგენს: DSL-11%; FTTB-2%; Gpon-17%; P2P-70%



საყურადღებოა საქართველოში კავშირგაბმულობის, კერძოდ ინტერნეტ მომსახურების, სფეროში 2016-2017 წლების განმავლობაში შექმნილი მდგომარეობა: არაჯანსაღი კონკურენცია და მსხვილი კონკურენტი კომპანიების მიერ შემოთავაზებული არასწორი სატარიფო პოლიტიკა. ეს ორი გარემოება განვითარების რთულ პირობებს უქმნის ჩვენს კომპანიას, მიუხედავად ამისა, კომპანია აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და სტაბილურად ინარჩუნებს აბონენტების რაოდენობას და შემოსავლებს.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დიდია გარე ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოსალოდნელ შემოსავლებსა და ხარჯებზე, რაც რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის დაგეგმილი მაჩვენებლების 100%-იან შესრულებას. რისკ-ფაქტორებია: არასტაბილური და რთული გარე ეკონომიკური მდგომარეობა, სავალუტო ბაზარზე ლარის არასტაბილური მდგომარეობა; ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო ვალდებულებების ხშირი ცვლილება; საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებული რეგულაციების ხშირი ცვლილება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური, თუ საბაზრო პრობლემებისა, კომპანია აქტიურად ახორციელებს მარკეტინგულ აქტივობებს. მიუხედავად იმისა, რომ შპს "ახალი ქსელები" კომერციული ორგანიზაციაა, კომპანია ოპერირებს კონკურენტული მარჟებით, არ ახორციელებს დემპინგურ საქმიანობას მისი არცერთი პროდუქტის მიმართულებით.

კომპანია 2018-2020 წლებში გეგმავს ძლიერი და მიზანმიმართული მარკეტინგული პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს არსებული, თუ პოტენციური მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი ახალი პროდუქტების შექმნას, არსებული პროდუქტების სრულყოფას და

მომსახურების ხარისხის დონის ამაღლებას. კომპანიის მიზანია თავად ახორციელებდეს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული ყველა ტიპის პროდუქტისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის მიწოდებას, რაც მას საშუალებას მისცემს მომხმარებლების მოთხოვნები სრულიად დააკმაყოფილოს, ამასთან მისი შეთავაზებული ფასები იყოს კონკურენტული და ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე მორგებული. შესაბამისად ჯანსაღი კონკურენციის პირობებში და სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარებით, კომპანია შეძლებს მისი საქმიანობის ძირითადი მიზნების მიღწევას.

დირექტორი

ნანა შარაშენიძე _____

ფინანსური მენეჯერი

მარინე კილაძე _____

20 სექტემბერი 2019 წ.

მომსახურების ხარისხის დონის ამაღლებას. კომპანიის მიზანია თავად ახორციელებდეს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული ყველა ტიპის პროდუქტისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის მიწოდებას, რაც მას საშუალებას მისცემს მომხმარებლების მოთხოვნები სრულიად დააკმაყოფილოს, ამასთან მისი შეთავაზებული ფასები იყოს კონკურენტული და ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე მორგებული. შესაბამისად ჯანსაღი კონკურენციის პირობებში და სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარებით, კომპანია შეძლებს მისი საქმიანობის ძირითადი მიზნების მიღწევას.

დირექტორი

ნანა შარაშენიძე



ფინანსური მენეჯერი

მარინე კილაძე

20 სექტემბერი 2019 წ.